საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში
ინტეგრაციის საკითხებში

N 01/2718
08/09/2017

2718-01-2-201709081557

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო ბერძულს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ ა/წ 14-15 სექტემბერს საქართველოს ეწვევა ევროკომისიის სპეციალური მისია, რომელიც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ორგანიზებით გამართავს კონსულტაციებს საქართველოს დარგობრივი უწყებების წარმომადგენლებთან ევროკავშირის ინსტიტუციური განვითარების პროგრამების შესახებ.

ვიზიტის ფარგლებში ა/წ 15 სექტემბერს გაიმართება შეხვედრა, რომლის მიზანია საქართველოს ბენეფიციარ უწყებებს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია TAIEX-ის პროგრამასთან დაკავშირებით.

გთხოვთ, აღნიშნულ შეხვედრაზე მოავლინოთ უწყების ერთი წარმომადგენელი, რომელიც ჩართულია თქვენს უწყებაში TAIEX-ის პროექტების მომზადების პროცესში. ასევე, გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოთ თქვენი უწყების დაქვემდებარებაში მყოფ შესაბამის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (სსიპ), რათა მათი მხირდანაც დაესწროს ერთი წარმომადგენელი.

აღნიშნული შეხვედრა გაიმართება ა/წ 15 სექტემბერს 10:00 საათიდან 12 საათამდე მთავრობის ადმინისტრაციაში მე-3 სართულზე, შეხვედრების ოთახი N1. შეხვედრის სამუშაო ენაა ინგლისური.

ინგოროყვას ქ. № 7, 0114 თბილისი; ტელ: +99532 2932867; ელ-ფოსტა: office@eu-nato.gov.ge;
ვებ-გვერდი: www.eu-nato.gov.ge

გთხოვთ, შეხვედრაში მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია მოგვაწოდოთ ა/წ 12 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე: pao@eu-nato.gov.ge.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაუკავშირდეთ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს აკაკი ჯამბურიას: 577 520958; a.jamburia@eu-nato.gov.ge

პატივისცემით,

არჩილ ყარაულაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

სახელმწიფო მინისტრის აპარატი